საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია
GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION

# საიამ პარტნიორ ორგანიზაციებთან ერთად ახალ საარჩევნო კოდექსის პროექტთან დაკავშირებით პრეზენტაცია გამართა

2011 წლის 30 სექტემბერს საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ პარტნიორ ორგანიზაციებთან ერთად - სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება, საერთაშორისო გამჭვირვალობა- საქართველო საქართველოს პარლამენტში ინიცირებული საარჩევნო კოდექსის პროექტთან დაკავშირებით

პრეზენტაცია გამართა.

ორგანიზაციებმა ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების, პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებს, ასევე სხვა დაინტერესებულ პირებს საარჩევნო კანონმდებლობის ცვლილებასთან დაკავშირებით შენიშვნები გააცნო.

ორგანიზაციების შეფასებით შემოთავაზებული პროექტი არ გვთავაზობს არსებით ცვლილებებს საარჩევნო გარემოს გაუმჯობესების კუთხით. ამ მიმართულებით იგეგმება მუშობის გაგრძელება საქართველოს პარლამენტთან და სხვა დაინტერესებულ სუბიექტებთან. ორგანიზაციები საკუთარ მოსაზრებებს მოგვიანებით საქართველოს პარლამენტს წარუდგენენ.

გთხოვთ, იხილოთ ორგანიზაციების შენიშვნები  საარჩევნო კანონმდბელობის ცვლილებასთან დაკავშირებით, ასევე მოქმედი საარჩევნო კოდექსისა და შემოთავაზებული პროექტის შედარების დოკუმენტი.